ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 31 08 2017 წ.

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის“ რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 203-ს

2017 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების უფლების მქონე აბიტურიენტთა რეგისტრაციის ვადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხის განსაზღვრის შესახებ

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „დ” ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-10 მუხლის პირველი და მე-12 მუხლის მე-2 პუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2017 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების უფლების მქონე აბიტურიენტების საბუთების მიღებისა და ადმინისტრაციული (სწავლის სემესტრული საფასურის გადახდა) და აკადემიური რეგისტრაციის ვადად განისაზღვროს 2017 წლის 4 - 15 სექტემბერი.

2. დადგინდეს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხ აბიტურიენტთა მიერ ადმინისტრაციული რეგისტრაციისას წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა:

ა) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი.

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის/პასპორტის ასლი;

გ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ვაჟებისთვის).

დ) ორი ფოტოსურათი (3x4) და სურათი CD დისკზე;

ე) არასრულწლოვანის შემთხვევაში - დაბადების მოწმობის წარმოდგენა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხლება, ამ უკანასკნელის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტითურთ.

ვ) სწავლის სემესტრული საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

4. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის, ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატებს.

7. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.

8. ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე დაევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი **სერგო ვარდოსანიძე**